

კრიტიკული აზრის დევნა სასამართლოში

მოსამართლე ნინო გიორგაძის საქმის შეფასება

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

კრიტიკული აზრის დევნა სასამართლოში

მოსამართლე ნინო გიორგაძის საქმის შეფასება

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

თბილისი, 2024

დოკუმენტზე პასუხისმგებელი პირი: გურამ იმნაძე, ანა პაპუაშვილი

ავტორი: ანა პაპუაშვილი

ყდის დიაზინი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ანა პაპუაშვილი, „კრიტიკული აზრის დევნა სასამართლოში - მოსამართლე ნინო გიორგაძის საქმის შეფასება“, 2024*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

შესავალი **4**

ფაქტობრივი გარემოებები და მოვლენათა ქრონოლოგია **5**

ნინო გიორგაძის არდანიშვნაზე გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა **7**

1. საბჭოს არამოსამართლე წევრების მონაწილეობა შეფასების პროცესში 7

2. შემფასებლების მონაწილეობა საბჭოს მიერ საჩივრის განხილვის პროცესში 9

3. შეფასებების არათანმიმდევრულობა და დასაბუთების პრობლემურობა 9

3.1. განსხვავება შეფასებების ქულობრივ და დასაბუთების კომპონენტებს შორის 9

3.2. გადატვირთულობა და საპროცესო ვადების დარღვევა, როგორც მოსამართლეზე გავლენის ბერკეტი 10

3.3. "ხარვეზების" მაგალითები, რომლებიც საფუძვლად დაედო უარყოფით შეფასებებს 12

4. საბჭოს განკარგულების დასაბუთების პრობლემურობა 13

დასკვნა **14**

შესავალი

2023 წლის 1 ნოემბერს საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, რომლითაც 3-წლიანი გამოსაცდელი ვადის ამოწურვის შემდეგ მოსამართლე ნინო გიორგაძე თანამდებობაზე უვადოდ არ დაინიშნა.[1] ამ გადაწყვეტილებით საბჭომ გადაუხვია გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის არსებული პრაქტიკიდან, იმ ფაქტის გათვალისწინებითაც, რომ 3 ნოემბერს თანამდებობაზე უვადოდ გამწესდა გამოსაცდელი ვადით დანიშნული 26 მოსამართლე.[2] ამავდროულად, ნინო გიორგაძის მიერ 2021 წლის დეკემბრის პრობლემურ საკანონმდებლო ცვლილებებზე საჯაროდ გაჟღერებული კრიტიკა,[3] სასამართლო სისტემაში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, გახდა ეჭვის საფუძველი, რომ მის უვადოდ დანიშვნაზე უარი მიზნად ისახავდა სისტემის შიგნით კრიტიკული აზრის ჩახშობას.

სოციალური სამართლიანობის ცენტრმა შეისწავლა გამოსაცდელ ვადაში ნინო გიორგაძის საქმიანობის შეფასების დასკვნები, რომლებიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა მოამზადეს, ასევე საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გიორგაძის მიერ წარდგენილ საჩივარზე. შესწავლილი დოკუმენტაცია ცხადად წარმოაჩენს როგორც ამ პრეცედენტის, ასევე ზოგადად, მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნისა და მათი პერიოდული შეფასების სისტემის პრობლემურობას. კერძოდ:

- სასამართლოში დღეს არსებული არაფორმალური გავლენებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელთ თავმოყრილი ჭარბი ძალაუფლების გათვალისწინებით, გამოსაცდელი ვადით დანიშვნა ინდივიდუალურ მოსამართლეებზე არასათანადო გავლენისა და სისტემაში ახალი კადრების შედინების კონტროლის მნიშვნელოვანი მექანიზმია;
- გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოსამართლის პერიოდული შეფასების დღევანდელი წესი პრაქტიკაში ვერ აღწევს დასახულ მიზნებს, არასათანადოდ გამოიყენება და მისი გასაჩივრების მექანიზმი არაეფექტიანია;
- გადატვირთულობა, რომელიც სასამართლო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა და რომლის გადაწყვეტაც ასევე საბჭოს პასუხისმგებლობაა, ინდივიდუალურ მოსამართლეთა პრობლემად არის დანახული და მათ წინააღმდეგ გამოიყენება;

---

[1] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, მოსამართლე ნინო გიორგაძე თანამდებობაზე უვადოდ არ გაამწესეს, რაც სასამართლო სისტემაში კრიტიკული აზრის სავარაუდო ჩახშობის საყურადღებო პრეცედენტია, 3 ნოემბერი, 2023 წელი (ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/WwNwfD3B ; წვდომის თარიღი: 23.02.2024).

[2] იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 26 მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ განწესდა, 3 ნოემბერი, 2023 (ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/RwNwgjhT; წვდომის თარიღი: 23.02.2024).

[3] ნინო გიორგაძის საჯარო მოსაზრება სოციალურ ქსელ facebook-ზე სრულად იხილეთ ბმულზე: https://cutt.ly/iwNwhlit ; წვდომის თარიღი: 23.02.2024).

- ნინო გიორგაძის 3-წლიანი საქმიანობის შეფასებებში მითითებული დასაბუთებები და მინიჭებული ქულები აშკარა შეუსაბამობაშია ერთმანეთთან, რაც ეჭვქვეშ აყენებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემფასებელ წევრთა ობიექტურობასა და დამოუკიდებლობას;
- შეფასებებში ფაქტობრივად ერთადერთ და ხელშესახებ პრობლემად ნინო გიორგაძის მიერ საპროცესო ვადების დაუცველობაა დასახელებული. თუმცა, საბჭომ ეს საკითხი მოსამართლის ინდივიდუალურ პრობლემად შეაფასა და მხედველობაში საერთოდ არ მიიღო გიორგაძის დატვირთულობის მაღალი მაჩვენებლები, ასევე საქმეთა ეფექტიანად ადმინისტრირების დამაბრკოლებელი სხვა ფაქტობრივი გარემოებები.

შედეგად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება ნინო გიორგაძის უვადოდ არდანიშვნაზე მორიგი ნაბიჯია, რომელიც არა მართლმსაჯულების ინტერესებს, არამედ სისტემიდან განსხვავებული/კრიტიკული აზრის მქონე მოსამართლეების განდევნას ემსახურება.

ფაქტობრივი გარემოებები და მოვლენათა ქრონოლოგია

ნინო გიორგაძე ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით გამწესდა 2020 წლის 1 დეკემბრიდან, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს 18 ნოემბრის განკარგულებით. დასაბუთების თანახმად, გიორგაძის კანდიდატურა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების საფუძველზე შეაფასა საბჭოს 14-მა წევრმა.[4] საბჭოს ყველა წევრის მოსაზრებით გიორგაძე სრულად აკმაყოფილებდა კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, კომპეტენტურობის კრიტერიუმის შეფასებისას კი კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა 1189 ქულა შეადგინა, რაც საბჭოს მითითებით, ქულათა მაქსიმალური რაოდენობის 84.93%-ია. საბოლოო კენჭისყრაზე, რომელშიც საბჭოს 14 წევრი მონაწილეობდა, გიორგაძემ 13 ხმა მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ ნინო გიორგაძეს სასამართლო სისტემაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. 2008-2018 წლებში ის იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ეთიკის დეპარტამენტის უფროსი კონსულტანტი, 2018-2019 წლებში კი - დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის უფროსი კონსულტანტი. ამასთან, 2019-2020 წლებში მან წარმატებით გაიარა იუსტიციის უმაღლესი სკოლის სასწავლო კურსი და ჰქონდა მაღალი საბოლოო ქულობრივი შეფასებები.

გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის საქმიანობა ექვემდებარება პერიოდულ შეფასებას კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების კანონით დადგენილი მახასიათებლების საფუძველზე.[5] შეფასებას აკეთებს საბჭოს მიერ ყოველი შეფასების წინ წილისყრით შერჩეული ერთი მოსამართლე და ერთი არამოსამართლე წევრი.

[4] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა - ქეთევან ცინცაძემ თვითაცილება განაცხადა.

[5] "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-36[4] მუხლები.

ამასთან, ყველა შეფასება სხვადასხვა შემფასებელმა უნდა განახორციელოს და მათი ვინაობა, ისევე როგორც შეფასების ანგარიშები, მოსამართლისთვის ხელმისაწვდომია.

3-წლიანი გამოსაცდელი ვადით საქმიანობის პერიოდში ნინო გიორგაძე საბჭოს შემდეგმა წევრებმა შეაფასეს:

- 01.12.2020-01.12.2021 წლებში - თამარ ღვამიჩავამ (არამოსამართლე წევრი) და ბადრი შონიამ (მოსამართლე წევრი);
- 01.12.2021-01.12.2022 წლებში - ტრისტან ბენაშვილმა (არამოსამართლე წევრი) და ნიკოლოზ მარსაგიშვილმა (მოსამართლე წევრი);
- 01.12.2022-01.08.2023 წლებში - ზურაბ გურასპაშვილმა (არამოსამართლე წევრი) და პაატა სილაგაძემ (მოსამართლე წევრი).

იმისათვის, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩანიშნოს გასაუბრება გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის უვადოდ გამწესებაზე, კანონმდებლობით აუცილებელია, ა) კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას სამი ან სამზე მეტი შემფასებელი მიიჩნევდეს, რომ მოსამართლე აკმაყოფილებს ან სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ბ) კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მოსამართლის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი იყოს ქულათა მაქსიმალური რაოდენობის არანაკლებ 70 პროცენტი.[6]

ნინო გიორგაძის შემთხვევაში არცერთი შემფასებელი არ მიიჩნევდა, რომ ის არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს (5-მა წევრმა მიიჩნია, რომ სრულად აკმაყოფილებდა, 1 წევრის შეფასებით კი - აკმაყოფილებდა კეთილსინდისიერების კრიტერიუმს). თუმცა კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებამ სამივე წლის პერიოდში, ჯამში, 68.33% შეადგინა (თამარ ღვამიჩავა - 68 ქულა; ბადრი შონია - 70; ტრისტან ბენაშვილი - 68; ნიკოლოზ მარსაგიშვილი - 69; ზურაბ გურასპაშვილი - 67; პაატა სილაგაძე კი - 68 ქულა).

შედეგად, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით,[7] საბჭოს თავმჯდომარის 2023 წლის 23 ოქტომბრის N1 ბრძანებით, გიორგაძეს ავტომატურად უარი ეთქვა საბჭოს მიერ მისი მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების საკითხის განხილვაზე.

აღნიშნული ბრძანება ნინო გიორგაძემ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გაასაჩივრა და მისი ბათილად ცნობა და თანამდებობაზე უვადოდ გამწესებასთან დაკავშირებით გასაუბრების ჩანიშვნა მოითხოვა. საჩივრის თანახმად, ფაქტობრივი გარემოებები და შინაარსობრივი დასაბუთებები არცერთი შემფასებლის შემთხვევაში არ იძლეოდა დასკვნის საფუძველს, რომ მისი სამოსამართლო საქმიანობა კომპეტენციის ნაწილში არადამაკმაყოფილებლად შეფასებულიყო.

---

[6] იქვე, 36[4] მუხლის მე-19 პუნქტი.

[7] იქვე, 36[4] მუხლის მე-13 პუნქტი.

საბჭომ 2023 წლის 1 ნოემბრის N1/96 განკარგულებით უარი თქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე, მისი დაუსაბუთებლობის მოტივით. განკარგულება მომჩივანს მისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ (01.12.2023), 7 დეკემბერს ჩაბარდა. ამასთან, განკარგულებაში საბჭომ მიუთითა საკუთარი გადაწყვეტილების ადმინისტრაციული კანონმდებლობით განსაზღვრული საერთო სასარჩელო წარმოების გზით გასაჩივრების შესაძლებლობაზე (მიუხედავად იმისა, რომ "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი საბჭოს შესაბამისი განკარგულების გასაჩივრების სპეციალურ წესს - უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გასაჩივრებას - გამორიცხავს).

ნინო გიორგაძემ სასამართლოს ადმინისტრაციული სარჩელით 2023 წლის 29 დეკემბერს მიმართა. სასარჩელო მოთხოვნად განსაზღვრულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანების, საბჭოს განკარგულებისა და შეფასების დასკვნების ბათილად ცნობა, ასევე საბჭოსთვის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებასთან დაკავშირებით ნინო გიორგაძესთან გასაუბრების ჩატარების დავალება.

ნინო გიორგაძის არდანიშვნაზე გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა

3 წლიანი გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნინო გიორგაძის საქმიანობის ოფიციალური შეფასებები, მისი დატვირთულობის მაჩვენებლები, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეაგირება და მისი გადაწყვეტილების დასაბუთება სასამართლო სისტემაში არაერთი მიმართულებით არსებული გამოწვევების მკაფიო მაგალითია. საქმე კარგად წარმოაჩენს მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნის სისტემის პრობლემურობას, რომელზეც გადამწყვეტი გავლენა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აქვს. სასამართლოში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით კი, ასეთი სისტემა დამოუკიდებელი და კვალიფიციური კადრებით სასამართლოს დაკომპლექტების მიზანს ნაკლებად ემსახურება და მეტად მოწყვლადს ხდის ახლადდანიშნულ მოსამართლეებს სისტემაში არსებული არაფორმალური გავლენების მიმართ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გამოსაცდელი ვადით მოსამართლეთა გამწესების შესაძლებლობას კონსტიტუცია 2024 წლის ბოლომდე ითვალისწინებს.[8]

1. საბჭოს არამოსამართლე წევრების მონაწილეობა შეფასების პროცესში

გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასებას თანამდებობაზე მისი გამწესებიდან 1 წლის თავზე, 2 წლის თავზე და 3-წლიანი ვადის გასვლამდე 4 თვით ადრე, 2 თვის ვადაში ახორციელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითო მოსამართლე და არამოსამართლე წევრი, პარალელურად და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ამასთან, ყველა შეფასება სხვადასხვა შემფასებელმა უნდა განახორციელოს და მათ ეკრძალებათ ერთმანეთისთვის მოპოვებული ინფორმაციის და გაკეთებული შეფასებების გაზიარება.

[8] "საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის (1324-რს, 13/10/2017) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

ნინო გიორგაძის შეფასების შედეგებიდან ირკვევა, რომ 2021-2022 წლის შეფასებაში არამოსამართლე წევრად ტრისტან ბენაშვილი მონაწილეობდა. თუმცა, რეალურად, 2021 წლის ივნისიდან 2023 წლის მაისამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭო მხოლოდ ერთი არამოსამართლე წევრის - თამარ ღვამიჩავას მონაწილეობით ფუნქციონირებდა და ტრისტან ბენაშვილი, ისევე როგორც ზურაბ გურასპაშვილი, საქართველოს პარლამენტმა საბჭოს წევრებად მხოლოდ 2023 წლის 17 მაისს აირჩია. ამგვარად, შუალედურ პერიოდში - 2021-2022 წლებში ნინო გიორგაძის მიერ განხორციელებული საქმიანობა კანონით გათვალისწინებულ ვადებში მხოლოდ საბჭოს მოსამართლე წევრმა - ნიკოლოზ მარსაგიშვილმა შეაფასა. ტრისტან ბენაშვილის შეფასება კი 2023 წლის 27 ივლისით თარიღდება.

გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების ფორმალური დარღვევისა, ეს ფაქტი მნიშვნელოვანია სხვა კუთხითაც. კერძოდ, კანონმდებლობის თანახმად, შეფასების თითოეული პერიოდის დასრულებისთანავე, შეფასების ანგარიშები დალუქული სახით გადაეცემა საბჭოს და შესაფასებელ მოსამართლეს უფლება აქვს გაეცნოს ამ ანგარიშებს. ამასთან, მოსამართლეს უფლება აქვს, საბჭოს წერილობით აცნობოს შემფასებლის მიერ უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების თაობაზე და თუკი საბჭო ამ მოსაზრებას გაიზიარებს, ის შეფასების ვალდებულებას წილისყრით აკისრებს საბჭოს სხვა წევრს, ან ახორციელებს სხვა ღონისძიებებს დარღვევის აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით.[9]

2023 წლის 1 ნოემბრის განკარგულებაში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ხაზგასმით მიუთითა, რომ საჩივრის ავტორს შეფასების თითოეული ეტაპის შემდეგ ჰქონდა ამ შეფასებების გაცნობის და მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა, რაც არ მომხდარა. თუმცა საბჭოს მსჯელობაში არსად ვხვდებით მითითებას 2021-2022 წლებში შეფასების ვადის დარღვევაზე. შესაბამისად, ამ პერიოდში გიორგაძეს არ ჰქონდა შესაძლებლობა, დროულად გაცნობოდა შეფასების შედეგებს და წარედგინა საკუთარი მოსაზრებები.

მოცემული შემთხვევა ასევე აჩვენებს შეფასებების გასაჩივრების არაეფექტიანობას და მოსამართლეებზე გავლენის რისკებს. უვადოდ დანიშვნაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეგიური ორგანო (საბჭო), რომლის წევრთა 1/3-ზე მეტი (ჯამურად), იმავდროულად, კანდიდატს პერიოდულად აფასებს. საბჭოს ეს წევრები მონაწილეობას იღებენ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც. შესაბამისად, ამ პირობებში არ არის მოულოდნელი, თუ გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეები თავს იკავებენ შეფასებებზე შენიშვნების აქტიური დაფიქსირებისგან. შენიშვნების წარდგენის წინამდებარე შემთხვევაც (ნინო გიორგაძის მიერ საჩივრის წარდგენა საბჭოში) საკმარისად ცხადად წარმოაჩენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრობლემურ და დაუსაბუთებელ მიდგომებს ამ შენიშვნების განხილვის და მათზე გადაწყვეტილების პროცესში.

[9] "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტები.

2. შემფასებლების მონაწილეობა საბჭოს მიერ საჩივრის განხილვის პროცესში

კანონმდებლობის თანახმად, 3 წლიანი ვადით გამწესებული მოსამართლის საქმიანობას, ჯამში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 6 წევრი აფასებს. თუმცა იმ შემთხვევაში, თუკი კანდიდატი ვერ დააკმაყოფილებს კანონის მინიმალურ მოთხოვნებს, ეს საკითხი კვლავ საბჭოში საჩივრდება, რომელიც გადაწყვეტილებას 2/3-ის უმრავლესობით (10 წევრის მხარდაჭერით) იღებს.

საბჭოში შეფასების შედეგების გასაჩივრების საფუძვლები, მათ შორის, შემფასებლის (შემფასებლების) სავარაუდო მიკერძოებულ/დისკრიმინაციულ ქმედებებს ან კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების გადამეტებას უკავშირდება.[10] შესაბამისად, თუკი მოსამართლე საჩივარში შემფასებელთა მსგავს ქმედებებზე მიუთითებს, ამ საკითხის განხილვაში თავად შეფასების ავტორებიც მონაწილეობენ. მეტიც, ყველა (6) შემფასებლის ერთობლივად აცილების მოთხოვნის და ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საბჭო 9 წევრის შემადგენლობით რჩება და საბოლოოდ გადაწყვეტილებაუნარიანი აღარ არის. შედეგად, კანონმდებლობით გათვალისწინებული, შეფასების შედეგების გასაჩივრების შიდა-ინსტიტუციური მექანიზმი ქმედითი არ არის და ვერ აკმაყოფილებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს.

ამ მექანიზმის პრობლემურობა კარგად გამომჟღავნდა მოცემულ შემთხვევაშიც. საკუთარი საჩივრის განხილვისას ნინო გიორგაძემ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამართულ ზეპირ მოსმენაზე მისი შემფასებელი წევრების აცილების საკითხი დააყენა. თუმცა, საბჭოს პოზიციის გათვალისწინებით, რომ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ის გადაწყვეტილების მიღებაზე არაუფლებამოსილი ხდებოდა, ეს შუამდგომლობა მოხსნა.

3. შეფასებების არათანმიმდევრულობა და დასაბუთების პრობლემურობა

განსაკუთრებით პრობლემურია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ ნინო გიორგაძის საქმიანობის 3 წლიანი პერიოდის შეფასების დასკვნები. მათი არათანმიმდევრულობა და დასაბუთებების შინაარსი კარგად აჩვენებს, რამდენად არასწორად მუშაობს არსებული შეფასების სისტემა პრაქტიკაში.

3.1. განსხვავება შეფასებების ქულობრივ და დასაბუთების კომპონენტებს შორის

ნინო გიორგაძის საჩივარში სრულად მართებულად არის მითითებული მთავარ პრობლემად საბჭოს წევრების მიერ დაწერილ ქულებსა და მათ დასაბუთებებს შორის არსებული შეუსაბამობა. ექვსივე შეფასებაში მთავარი შენიშვნები ეხება მოსამართლის მიერ საპროცესო ვადების დარღვევას. სხვა კომპონენტებზე არსებული დასაბუთებები, რომლებიც მიემართება,

[10] "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^5 მუხლის პირველი პუნქტი ასევე გასაჩივრების საფუძვლებად ითვალისწინებს იმ ინფორმაციის არსებითად მცდარობას, რომელიც საფუძვლად დაედო შეფასებას, ასევე შეფასების კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დარღვევით განხორციელებას, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საბოლოო შედეგზე.

მაგალითისთვის, სამართლებრივი დასაბუთების უნარებსა და კომპეტენციას, წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარებს, პროფესიულ თვისებებს, ქცევას სასამართლო დარბაზში თუ პროფესიულ აქტივობებს, დადებითი შინაარსისაა. ამის მიუხედავად, სრულიად დაუსაბუთებლად, ამ კომპონენტებში შემფასებლების მიერ მითითებული ქულები მაქსიმუმს საშუალოდ 2-დან 7 ქულამდე ჩამორჩება. ობიექტური დამკვირვებლის თვალში ეს ბადებს ლეგიტიმურ კითხვებს შეფასებების სამართლიანობასა და თანმიმდევრულობასთან დაკავშირებით, რომ აღარაფერი ითქვას იმაზე, რომ ამგვარი დადებითი შეფასებების მიუხედავად, საბოლოო დასკვნებით გამოდის, რომ ნინო გიორგაძე კომპეტენციის კრიტერიუმის მინიმალურ - 70 ქულიან მოთხოვნასაც ვერ აკმაყოფილებს.

დამატებით, საეჭვო გარემოებაა ისიც, რომ თითქმის მსგავსია ექვსივე შეფასებაში კომპეტენციის კრიტერიუმის ჯამური მაჩვენებლები და ისინი 67-70 ქულებს შორის მერყეობს. ასეთი სურათი, 100 ქულიანი სისტემაში და იმ პირობებში, რომ საბჭოს ექვსივე წევრი შეფასებას ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აკეთებს, კიდევ უფრო არაბუნებრივია.

3.2. გადატვირთულობა და საპროცესო ვადების დარღვევა, როგორც მოსამართლეზე გავლენის ბერკეტი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ექვსივე წევრის შეფასების დასკვნებში მთავარ პრობლემად დანახულია ნინო გიორგაძის მიერ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების ვადების დარღვევა. მაგალითისთვის, საბჭოს მოსამართლე წევრის - პაატა სილაგაძის დასკვნის მიხედვით, *"მოსამართლეს გააჩნია გარკვეული პრობლემები ორგანიზებულობის, დროისა და რესურსების ეფექტიანი გამოყენების კუთხით, რაც თავს იჩენს დატვირთულ სამუშაო გრაფიკში საქმიანობისას".*

როგორც თავად ნინო გიორგაძის მიერ წარმოდგენილი მონაცემებიდან ირკვევა, 3 წლის პერიოდში მან სულ განიხილა 2147 საქმე. აღნიშნული საქმეებიდან არ გასაჩივრებულა/უცვლელადაა დატოვებული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ, ჯამში 2132 საქმე (99.30% - ზემდგომი სასამართლოების მიერ: არსებითად განხილულ საქმეებზე გადაწყვეტილება შეიცვალა 6 საქმეზე; დაკმაყოფილდა 9 საჩივარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე). ამასთან, მაგალითისთვის, 1.12.20-1.12.21 წლებში დანიშნული იყო 991 სასამართლო სხდომა, 1.12.21-1.12.22 წლებში - 1435 სხდომა (სხდომათა დღიური საშუალო რაოდენობა - 5.9), ხოლო 1.12.22-1.12.23 წლებში - 1023 სხდომა (სხდომათა დღიური საშუალო რაოდენობა - 5.87). გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლო სხდომების აბსოლუტური უმრავლესობა საჭიროებდა აზერბაიჯანული ენის თარჯიმნის მონაწილეობას, რადგან ბოლნისის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია უმეტესწილად ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობით არის დასახლებული. სასამართლოში კი 5 მოსამართლის შემთხვევაში, მხოლოდ 2 აზერბაიჯანული ენის თარჯიმანია; ამასთან, დაახლოებით 1.12.20-30.03.21 წლების პერიოდში სასამართლო სხდომის მდივანი კვირაში მხოლოდ 2 საპროცესო დღეს ახორციელებდა უფლებამოსილებას,

პარალელურად კი სხვა მოსამართლის სხდომის მდივანიც იყო. საგულისხმოა ისიც, რომ გიორგაძის მითითებით, ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლეთა საშტატო ოდენობა 2009 წლის შემდეგ არ გაზრდილა, მიუხედავად იმისა, რომ საქმეთა ნაკადი გაორმაგებული და, რიგ შემთხვევაში, გასამმაგებულია. არსებული შტატები კი (5 საშტატო ადგილი), მისი საქმიანობის პერიოდში, არასდროს ყოფილა სრულად შევსებული.

მიუხედავად იმისა, რომ გადატვირთულობის პრობლემის მასშტაბურობა ნათელია ფართო საზოგადოებისთვის, საქართველოს პარლამენტისთვის,[11] ასევე თავად სასამართლო სისტემის და განსაკუთრებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის, ეს უკანასკნელი არაფერს აკეთებს ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. მეტიც, როგორც წინამდებარე საქმე ადასტურებს, საჭიროების შემთხვევაში, საბჭო ამ გამოწვევას ინდივიდუალური მოსამართლეების პრობლემად ხედავს და მათ საწინააღმდეგოდ იყენებს. რეალურად, სწორედ საბჭოა პასუხისმგებელი სასამართლოებში საქმეთა ნაკადის ეფექტიან მართვაზე, მოსამართლეთა სამართლიანი დატვირთულობასა და შესაბამისი საშტატო ერთეულების განსაზღვრაზე. როგორც მოყვანილი მონაცემები აჩვენებს, ნინო გიორგაძეს წლიურად 700-ზე მეტი საქმის განხილვა უწევდა, რასაც თან ახლდა საქმეთა ეფექტიანად ადმინისტრირების დამატებითი ბარიერები (არასაკმარისი თარჯიმნები, არასრულ განაკვეთზე მომუშავე სხდომის მდივანი), თუმცა ყველა ეს გარემოება საბჭოს მიერ შეფასდა არა როგორც სისტემურ გამოწვევად, არამედ ინდივიდუალური მოსამართლის ნაკლოვანებად.

სასამართლოს და ინდივიდუალური მოსამართლეთა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით შემუშავებული არაერთი საერთაშორისო თუ რეგიონული სტანდარტი მიუთითებს, რომ მოსამართლეთა კვალიფიკაციის შეფასების პროცესი უნდა წარიმართოს დამოუკიდებლად, პასუხისმგებლობითა და გამჭვირვალე პროცედურით, რომელიც სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილებით დასრულდება. შეფასება უპირველესად უნდა დაეყრდნოს ხარისხობრივ კრიტერიუმებს და რაოდენობრივი მაჩვენებლები მეტად სიფრთხილით უნდა იქნას გამოყენებული, რადგან არაჯანსაღი მოტივაციის განვითარების რისკებს შეიცავს. მოსამართლეთა გადაწყვეტილების ხარისხი და არა რაოდენობა უნდა იყოს ინდივიდუალური შეფასების მთავარი კომპონენტი. [12] შესაბამისად, როდესაც მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კომპეტენტურობის ისეთ კომპონენტებს, რომლებიც შინაარსობრივად უპირველესად უკავშირდება სამოსამართლო საქმიანობას, ასევე როდესაც სისტემის გადატვირთულობა აღიარებული პრობლემაა, უმთავრესად რაოდენობრივ კომპონენტზე

[11] სასამართლოს გადატვირთულობა, როგორც პრობლემა, აღიარებული და იდენტიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წელს შემუშავებულ სასამართლო რეფორმის სტრატეგიაში (ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/dwNwkKpP ; წვდომის თარიღი: 23.02.2024).

[12] CCJE Opinion No.24 (2021): Evolution of the Councils for the Judiciary and their role in independent and impartial judicial systems; Also, CCJEOpinion No.17 (2014) on the evaluation of judges' work, the quality of justice and respect for judicial independence.

დაყრდნობით მოსამართლის საქმიანობის უარყოფითი შეფასება და მისი სამოსამართლო საქმიანობიდან ჩამოცილება ცალსახად ვერ ჩაითვლება სამართლიანად.

3.3. "ხარვეზების" მაგალითები, რომლებიც საფუძვლად დაედო უარყოფით შეფასებებს

საპროცესო ვადების დაცვისა და გადატვირთულობის საკითხების მიღმა, ყურადღებას იმსახურებს შეფასების დასკვნებში მითითებული რიგი ფაქტები, რომლებიც ნინო გიორგაძის სამოსამართლო საქმიანობის ნაკლოვანებად შეფასდა. მაგალითისათვის:

- ტრისტან ბენაშვილისა და ნიკოლოზ მარსაგიშვილის შეფასების დასკვნების თანახმად, ერთ-ერთ შესაფასებელ საქმეში სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხზე მსჯელობისას სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ნაცვლად ამავე კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილისა. ამ საკითხზე თავად ნინო გიორგაძის მიერ საჩივარში მოყვანილი განმარტებით ცხადი ხდება, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მექანიკურ შეცდომას. კერძოდ, სასამართლოს მსჯელობა (სამოტივაციო ნაწილი) და დასკვნა (სარეზოლუციო ნაწილი), შინაარსობრივად შესაბამისია სსკ-ის 53-ე მუხლთან. თუმცა ტექნიკურად სამოტივაციო ნაწილში მითითებულია სსკ-ის 55-ე მუხლი. ამიტომ, ეს ხარვეზი არ უკავშირდება რაიმე სამართლებრივ შედეგს, ან მოსამართლის არაკომპეტენტურობას;
- საბჭოს ამავე წევრების შეფასების დასკვნების თანახმად, ერთ-ერთ შესაფასებელ საქმეში, "საჯარო შეტყობინების შესახებ" განჩინების თარიღად მითითებულია "2021" ნაცვლად "2022"-ისა. ნინო გიორგაძის განმარტებით, განჩინების სარეზოლუციო ნაწილში ყველა მონაცემი, მათ შორის ყველა თარიღი სწორია;
- საბჭოს ამავე წევრების შეფასების დასკვნების თანახმად, ერთ-ერთ შესაფასებელ საქმეში სასამართლომ არ მიაწოდა მხარეებს ინფორმაცია სხდომის მდივნის თაობაზე და არ განუმარტა მისი აცილების უფლება. გიორგაძე საჩივარში დაეთანხმა ფაქტობრივ მოცემულობას, თუმცა აღნიშნა, რომ სხდომაზე საქმე განხილულ იქნა მხოლოდ მოსარჩელე მხარის მონაწილეობით, რომლის ინტერესებსაც ადვოკატი იცავდა. მისთვის რეალურად ცნობილი იყო სხდომის მდივნის ვინაობა (წინა პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე) და ადვოკატის კომპეტენტურობის გათვალისწინებით, მისთვის ცნობილი იქნებოდა სხდომის მდივნის აცილების საპროცესო უფლების თაობაზე. დამატებით, აღნიშნული სხდომის მდივანი სასამართლო აპარატში ირიცხება 2021 წლის აპრილიდან.

საინტერესო დეტალია ისიც, რომ ზემოაღნიშნულ ხარვეზებთან დაკავშირებით არსებული დასაბუთების სიტყვიერი შინაარსები საბჭოს ორივე წევრის შემთხვევაში იდენტურია.

სადავო არ არის, რომ აღნიშნული ფაქტები საქმიანობის პროცესში არსებული ხარვეზებია, თუმცა ისინი მექანიკური/ადამიანური შეცდომის სახეს უფრო ატარებს და ისევ მოსამართლის დატვირთულობის ხარისხით შეიძლება აიხსნას. თუმცა შეფასებების ერთიანი შინაარსების გათვალისწინებით თუ დამოუკიდებლად, მსგავსი ფაქტები ობიექტურ პირობებში

შეუძლებელია განაპირობებდეს იმგვარ შეფასებას, რომ მოსამართლე კომპეტენტურობის კრიტერიუმის მინიმალურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს

4. საბჭოს განკარგულების დასაბუთების პრობლემურობა

ზემოაღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით, გამორჩეულად უარყოფით შეფასებას იმსახურებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 1 ნოემბრის განკარგულების შინაარსი, რომელიც მან ნინო გიორგაძის მიერ წარდგენილ საჩივარზე მიიღო. განკარგულებაში განვითარებული მსჯელობა და დასაბუთება ცხადად აჩვენებს დღეს არსებულ სისტემაში არამხოლოდ პროცედურული, არამედ შინაარსობრივი გარანტიების ფორმალურ ბუნებას. მსგავსი მიდგომები, ფაქტობრივად, აზრს უკარგავს 3 წლიანი ვადით თანამდებობაზე გამწესებული მოსამართლეების მიერ საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისა და საკუთარი უფლებების დაცვის კანონმდებლობით განსაზღვრულ გარანტიებს.

პირველ რიგში, ნინო გიორგაძის მიერ საჩივარში მოყვანილი არგუმენტაციის საპასუხოდ, რომ შინაარსობრივი დასაბუთებები არცერთი შემფასებლის შემთხვევაში არ იძლეოდა უარყოფითი დასკვნების (კომპეტენციის კრიტერიუმის შეფასებისას მინიმალური სტანდარტის დაუკმაყოფილებლობა) მიღების საფუძველს, საბჭო მხოლოდ კანონის ფორმალურ მოთხოვნებზე მითითებით შემოიფარგლა. კერძოდ, საბჭოს შეფასებით, საჩივარში არ იყო დაკონკრეტებული კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელი/რამდენი საფუძვლით ხდიდა მომჩივანი სადავოდ შემფასებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებას: *"საჩივრის ავტორი მართალია არ ეთანხმება მიღებულ შეფასებებს, თუმცა ამავდროულად არ მიუთითებს და არ ასახელებს, რომელ მახასიათებელში და რამდენი ქულა/რამდენი ქულით მეტი უნდა მინიჭებოდა მას".* მსგავსი ზედაპირული მიდგომა, როდესაც საქმე ეხება მოქმედი მოსამართლის საქმიანობის შეფასებას, არამხოლოდ უკიდურესად ფორმალისტურად აქცევს მთელს პროცესს, არამედ ნათლად წარმოაჩენს ინდივიდუალური მოსამართლის გარანტიების სისუსტეს და მასზე შიდა გავლენის საფრთხეებს.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს შეფასების პროცესთან დაკავშირებით საბჭოს მითითება საკანონმდებლო წესზე, რომლის თანახმად, შემფასებლის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია და იწვევს პასუხისმგებლობას კანონით გათვალისწინებული წესით. საბჭოს მსჯელობით, შემფასებლის კრიტიკა, მინიჭებული ქულების გამო, როდესაც საჩივრის ავტორი არ მიუთითებს შესაბამის სამართლებრივ საფუძვლებზე, ცალსახად დაუსაბუთებელია. აქაც, სრულიად გაუგებარია, შემფასებლის საქმიანობაში ჩაურევლობაზე მითითება იმ ორგანოს მხრიდან, რომელმაც საჩივრის წარდგენის შემთხვევაში სწორედ შემფასებელთა მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობა უნდა განიხილოს.

დამატებით, საჩივარში გასაგები ფორმით მითითებულია შეფასების დასკვნებში მოცემული სტატისტიკური ინფორმაციის ნაწილში ფაქტობრივი უზუსტობების თაობაზე. მიუხედავად ამისა, საბჭოს მითითებით, *"საჩივარზე მართალია თანდართულია გარკვეული*

სტატისტიკური მონაცემები, თუმცა ისინი არ იძლევა არანაირი სტატისტიკური ანალიზის განხორციელების შესაძლებლობას". ამასთან, საბჭომ აღნიშნა, რომ *"გარკვეული ხასიათის ცდომილების დაშვების შემთხვევაშიც, სტატისტიკური მონაცემები არ წარმოადგენს მოსამართლის კომპეტენტურობის კრიტერიუმის შეფასების ერთადერთ და განმსაზღვრელ მახასიათებელს. ამდენად, ცდომილების დაშვების პირობებშიც სახეზე არ არის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რომელიც სადაცო აქტის გაუქმების ცალსახა პირობას შექმნიდა".* ამგვარი მსჯელობა წინააღმდეგობრივი და პრობლემურია იმ მნიშვნელოვანი ფაქტის გათვალისწინებით, რომ ექვსივე შემფასებლის დასკვნებში ფაქტობრივად ერთადერთი არსებითი შენიშვნა სწორედ საპროცესო ვადების დაცვას ეხება და აღნიშნულის დასაბუთებისას ისინი, უმეტესად, სწორედ სტატისტიკურ ინფორმაციას დაეყრდნენ.

ბოლოს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგადად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ამ საკითხზე მიღებული განკარგულების გასაჩივრების სპეციალურ მექანიზმს კანონმდებლობა არ იცნობს. ასევე "საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონი გამორიცხავს საბჭოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტის განმეორებით გასაჩივრების შესაძლებლობას, თუკი საბჭო საჩივარს არ დააკმაყოფილებს, ამ აქტს არ გააუქმებს და მოსამართლესთან გასაუბრებას არ ატარებს.[13] თუმცა, როგორც განხილული განკარგულებიდან ირკვევა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მაინც მიუთითა საკუთარი გადაწყვეტილების გასაჩივრების ზოგად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მექანიზმზე. ამგვარი მიდგომა, არსებული კანონმდებლობის სამართლებრივი ლოგიკის და საბჭოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი ფუნქციების გათვალისწინებით, საკამათოა. გაურკვეველია ასეთი გასაჩივრების მექანიზმის ეფექტურობა, როდესაც საქმე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა თანამდებობაზე გამწესების კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებას ეხება საქმე. შესაბამისად, საინტერესო იქნება ნინო გიორგაძის ადმინისტრაციული სარჩელის განსახილველად მიღების შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა ამ საკითხზე.

დასკვნა

ნინო გიორგაძის საქმე სასამართლო სისტემაში დღეს არსებული არაერთი მწვავე პრობლემის ილუსტრაციაა. მისი საქმიანობის შეფასებებში მითითებული დასაბუთებები და მინიჭებული ქულები აშკარა შეუსაბამობაშია ერთმანეთთან, რაც ეჭვქვეშ აყენებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემფასებელ წევრთა მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას. ამასთან, შეფასებებში ფაქტობრივად ერთადერთ და ხელშესახებ პრობლემად მოსამართლის მიერ საპროცესო ვადების დაუცველობაა დასახელებული. თუმცა, საბჭომ ეს საკითხი მოსამართლის ინდივიდუალურ პრობლემად შეაფასა და მხედველობაში საერთოდ არ მიუღია გიორგაძის დატვირთულობის მაღალი მაჩვენებლები და საქმეთა ეფექტიანად

[13] "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-16 პუნქტი.

ადმინისტრირების დამაბრკოლებელი სხვა გარემოებები. ამავდროულად, არსებული სისტემა მინიმალურადაც არ ახალისებს გამოსაცდელ ვადაში მოსამართლის საქმიანობის შეფასებების გასაჩივრებას. ხოლო მოსამართლედ უვადოდ დანიშვნაზე უარის დღეს არსებული გასაჩივრების მექანიზმი უკიდურესად არაეფექტიანი და ხარვეზიანია.

ამ საქმეში განვითარებული მოვლენები და გაკეთებული სამართლებრივი შეფასებები კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ

- 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით გამწესება, რეალურად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელთ არსებული, ინდივიდუალურ მოსამართლეზე გავლენისა და სისტემაში მათთვის ლოიალური კადრების შედინების კონტროლის მნიშვნელოვანი მექანიზმია;
- გამოსაცდელი ვადით საქმიანობის პროცესში მოსამართლის შეფასების არსებული წესი პრაქტიკაში ვერ აღწევს დასახულ მიზნებს, მისი გასაჩივრების მექანიზმი კი არაეფექტიანია;
- მოსამართლეთა გადატვირთულობის პრობლემა სასამართლო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომლის გადაწყვეტაც ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელთაა. საბჭო კი ამ პრობლემის გადასაჭრელად არაფერს აკეთებს და საჭიროების შემთხვევაში, მას ინდივიდუალურ მოსამართლეთა წინააღმდეგ იყენებს.

ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, საბჭოს გადაწყვეტილება ნინო გიორგაძის უვადოდ არდანიშვნაზე, ემსახურება არა მართლმსაჯულების და სასამართლოს განვითარების ინტერესებს, არამედ სისტემიდან განსხვავებული/კრიტიკული აზრის მქონე მოსამართლეების განდევნას.